**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თურაშაული

თურაშაული, ძველი ქართული ვაშლის ზამთრის ჯიში. აქვს მომრგვალებული ფორმის ვარჯი. მოსავალს იძლევა მე-10, მე-12 წელს. უხვმსხმოიარეა, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 250–300 კგ. მეწლეა. ნაყოფი მომრგვალო, ოდნავ კონუსური, სქელკანიანი, ფერად მწვანეა და მუქი მოწითალო ზოლები გასდევს, რბილობი თეთრია, ტკბილი და წვნიანი. ოქტ. შუა რიცხვებში იკრიფება და გაზაფხულამდე ინახება. ტრანსპორტაბელურია. იყენებენ ნედლად და გადასამუშავებლად. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, მესხეთში, სამაჩაბლოსა და კახეთში. განარჩევენ თ-ის ქართლურ, მესხურ, კახურ და ლეჩხუმურ კლონებს. დაავადებათა მიმართ გამძლეა.

***შ. ახვლედიანი***